ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7234874

ნომერი: AR11058628

თარიღი : 26.09.2024

გაცემის თარიღი : 01.10.2024

გაცნობის თარიღი : 01.10.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, ლაშა-გიორგის IV ჩიხი, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ძიძიკაშვილი პ/ნ 12001092336
- თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან მიმდებარე ტერიტორია, ძირითადად განაშენიანებულია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების შესაძლებლობა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა მოთხოვნა დაყენებულ იქნეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, რისთვისაც ამავე განაცხადზე საშუალება გეძლებათ ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

– ვინაიდან ტერიტორიას არა აქვს მისასვლელი გზა, სამსახურისათვის გაუგებარია თუ როგორ მოხდება ტერიტორიაზე შესვლა, შესაბამისად წარმოსადგენია ტოპოძირზე დამუშავებული გენგეგმა, მისასვლელი გზისა და ირგვლივ არსებული რეგისტრაციების ჩვენებით. იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიას მისასვლელი გზა არ გააჩნია, საპროექტო მიწის ნაკვეთისათვის მისასვლელი სამანქანო გზის მოსაწყობად რომელიმე მომიჯნავე მიწის ნაკვეთი უნდა დაიტვირთოს სერვიტუტით და შემდგომ წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი სამანქანო გზის დამადასტურებელი დოკუმენტი (საკადასტრო გეგმა სერვიტუტის ჩვენებით, გაცემული საჯარო რეესტრის მიერ).

- წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.